MES 1 23 0000932412

27/07/2023

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 13 ივლისს 14:00 ს აათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/88421482137?pwd=azV1dUJZTWdzVDRBQ2RlcXhxZ0Y5QT09
Meeting ID: 884 2148 2137
Passcode: 461725

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);

თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნინო შუბითიძე - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტის მენეჯერი (კონსულტანტი) (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
ლანა გაჩეჩილაძე

დაწესებულების წარმომადგენელი:

სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“
მამია ჯანჯალია - დირექტორი
თამარ შალვაშვილი - დირექტორის მოადგილე
ნინო ქიტიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
ნათია გაგლოევი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
თამილა შერმადინი - პროფესიული განათლების მასწავლებელი

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანანო სამსონაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
გიორგი ფხაკაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე
გვანცა ნარიმანიძე - პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების კოორდინატორი

შპს პროფესიული განვითარების აკადემიური ცენტყრი
მაკა ცერცვაძე - დირექტორი
თეა ოშხერელი - პროგრამის განმახორციელებელი პირი

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
ნოდარ ხარაზიშვილი - დირექტორი
ლიკა ბაბლუანი - ზრდასრულთა განათლების სპეციალისტი
თამაზ დაუშვილი - მეწარმე სუბიექტის წარმომადგენელი
ნათია ქუთიძე - მეწარმე სუბიექტის წარმომადგენელი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
ხათუნა ფარეიშვილი
ირმა არსენაშვილი
თეა ნარეკლიშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14.15 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ იყო.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ,,სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ „მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced)“ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 28 მარტის №350586 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრალური კოსტუმის მკერავი“ /01518/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტი“ /01517/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
4. შპს პროფესიული განვითარების აკადემიური ცენტრის „ვეტერინარული აფთიაქის/ზოომაღაზიის ვეტერინარი ტექნიკოსი“ /01620/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ „ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“ /01649/ -

პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. ,,სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ „მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced)“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 28 მარტის №350586 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოადგილემ ქეთევან ციხისელმა, მან განაცხადა, სსიპ - კოლეჯ ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიამ" მიმდინარე წლის 20 ივნისს, წერილით №725648, ცენტრს აცნობა, რომ ,,მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced)'' მომზადების პროგრამის სპეციფიკა იძლევა დისტანციურად სწავლების საშუალებას და კოლეჯმა განახორციელა შესაბამისი ცვლილება პროგრამაში, კერძოდ დაზუსტდა დისტანციური სწავლების მიდგომები პროგრამის აღწერაში და კვირეული ხანგრძლივობა. წარმოდგენილი სრულყოფილად შევსებული დასაბუთება პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის დისტანციური ან ჰიბრიდული სწავლებით განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე. პროგრამის ხანგრძლივობაა - 9 კვირა, დაწესებულების მიერ პროგრამაში შეტანილ იქნა ცვლილება და შესაბამისად 9 კვირიდან 6 კვირა განხორციელდება დისტანციურად.
წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, დასტურდება პროგრამის დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა და სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნულ საკითხზე იმსჯელოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელმა საბჭომ, რათა შესაბამისი ცვლილება აისახოს საბჭოს № 350586 28/03/2023 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გამოეთქვა მოსაზრება განხილულ საკითხთან მიმართებაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს პროფესიონალიზმისათვის და დასძინა, რომ კოლეჯი ეთანხმებოდა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭოს ყველა წევრი თანახმა იყო აღნიშნული ვერსიით ცვლილება შესულიყო აღნიშნულ პროგრამაში და დაწესებულებას საჭიროების შემთხვევაში მისცემოდა პროგრამის დისტანციურად წარმართვის შესაძლებლობა განახლებული პროგრამით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ „მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced)“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 28 მარტის №350586 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს ,,სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ „მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced)“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 28 მარტის №350586 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი).**

2. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრალური კოსტუმის მკერავი“ /01518/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტი“ /01517/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ხათუნა ფარეიშვილმა, მან აღნიშნა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 31 მაისის №627733 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ და დარგის ექსპერტმა ხათუნა ფარეიშვილმა შეისწავლეს სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2023 წლის 21 მაისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) შემოსული №570990 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის წარმოდგენა და შესწავლა აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელმა საბჭომ (შემდგომში - საბჭო) 2023 წლის 21 აპრილის სხდომის ზეპირი მოსმენის ფარგლებში (№438748 ოქმი) მიიღო გადაწყვეტილებები: „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტისთვის „თეატრალური კოსტუმის მკერავის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 24 თებერვლის №223073 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ'' (საბჭოს 2023 წლის 21 აპრილის №440714 გადაწყვეტილება) და „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტისთვის „თეატრალური კოსტუმის

აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 24 თებერვლის №223074 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ'' (საბჭოს 2023 წლის 21 აპრილის №440716 გადაწყვეტილება) და ცენტრის წინაშე დააყენა შუამდგომლობა, შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფი და განხორციელდეს პირველი სტანდარტის 1.10 ქვესტანდარტის ფარგლებში დამატებითი დოკუმენტაციის შესწავლა და შესაბამისად, დასკვნის წარმოდგენის შემდეგ „თეატრალური კოსტუმის მკერავის“ და „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტის“ პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე საბჭოს მიერ განხორციელდეს საკითხების ხელახლა განხილვა. შესწავლილ იქნა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტები დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, რის საფუძველზეც შეფასდა 1.10 ქვესტანდარტი დადებითად.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება წარმატებით ახორციელებდა აღნიშნულ პროგრამებს. მომზადება-გადამზადების რეგულაციების გამიჯვნა თვითონ ადმინისტრაციისთვისაც უფრო მოხერხებული იქნებოდა. მისი თქმით, ძალიან კარგი იყო, რომ დაწესებულება იზიარებდა ცვლილებებს, გაცემულ რეკომენდაციებს, რომლებიც წინა ვიზიტის ფარგლებში გაიცა და აისახა დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გაეკეთებინა კომენტარი განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს პროფესიონალიზმისთვის და გვერდში დგომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრალური კოსტუმის მკერავი“ /01518/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს (ს/კ: 203851028) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - თეატრალური კოსტუმის მკერავი /01518/ **(დანართი).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტი“ /01517/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს (ს/კ: 203851028) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტი /01517/ **(დანართი).**

4. შპს პროფესიული განვითარების აკადემიური ცენტრის „ვეტერინარული აფთიაქის/ზოომაღაზიის ვეტერინარი ტექნიკოსი“ /01620/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა არსენაშვილმა, მან აღნიშნა, შპს პროფესიული განვითარების აკადემიურმა ცენტრმა, რომელმაც წარმოადგინა პროფესიული მომზადების პროგრამა ,,ვეტერინარული აფთიაქის/ზოომაღაზიის ვეტერინარი ტექნიკოსი“, განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით, ცენტრის ბრძანების (2023 წლის 24 აპრილის № 448610)
საფუძველზე 2023 წლის 3 მაისს ექსპერტებმა განახორციელა ვიზიტი შპს პროფესიული განვითარების აკადემიურ ცენტრში ქ. თბილისში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ვეტერინარული აფთიაქის/-ზოომაღაზიის ვეტერინარი ტექნიკოსი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. პროგრამაში ფიქსირდებოდა ხარვეზი, კერძოდ, რამდენიმე კვირაში სწავლის შედეგები და თემატიკა თანხვედრაში არ იყო.
მიმდინარე წლის 15 მაისს ჩატარდა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა, სადაც განხილული იყო შპს პროფესიული განვითარების აკადემიური ცენტრის „ვეტერინარული აფთიაქის/ზოომაღაზიის ვეტერინარი ტექნიკოსის“ /01620/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.
პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 30 მაისის №614693 ოქმის და №617062 გადაწყვეტილების საფუძველზე შპს პროფესიული განვითარების აკადემიურ ცენტრს „ვეტერინარული

აფთიაქის/ზოომაღაზიის ვეტერინარი ტექნიკოსი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვრა ვადა - 30 კალენდარული დღე. საბჭოს სხდომაზე, საკითხის განხილვისას, საბჭოს თავმჯდომარეს და საბჭოს წევრებს გაუჩნდათ კითხვები პროგრამის სახელწოდებასთან და შინაარსთან დაკავშირებით, პროგრამის შინაარსი რამდენად არის სახელწოდებასთან თანხვედრაში ამ სფეროში არსებული რეგულაციის ფარგლებში (საქართველოს კანონი ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ და 2018 წლის 28 ივნისის საქართველოს მთავრობის დადგენილება №345 „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ") და ითხოვეს სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტოდან დასაბუთება ამ საკითხებთან დაკავშირებით.
დაწესებულებამ ხარვეზი გამოასწორა 2023 წლის 12 ივნისს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ელექტრონულ სისტემაში (qms.eqe.ge) ატვირთა კორექტირებული პროგრამა. ასევე მიღებული იქნა სსიპ სურსათის სააგენტოდან ორი წერილი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით: 2023 წლის 31 მაისის N4536-09-2-202305311648 და 2023 წლის 7 ივნისის N 4820-09-2-202306071556.
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 12 ივნისს №678653 ბრძანების თანახმად, დაევალა დარგის ექსპერტს ირმა არსენაშვილს და ცენტრის წარმომადგენელს მაია აბდალაძეს წარმოდგენილი პროფესიული მომზადების კორექტირებული პროგრამის „ვეტერინარული აფთიაქის/ზოომაღაზიის ვეტერინარი ტექნიკოსი“ დისტანციურად შესწავლა, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა თავისი პარამეტრებით, შინაარსითა და სახელწოდებით იყო მისაღები, რომელსაც ასევე ადასტურებდა სურსათის უვნებლობის სააგენტოს წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პროფესიული განვითარების აკადემიური ცენტრის „ვეტერინარული აფთიაქის/ზოომაღაზიის ვეტერინარი ტექნიკოსი“ /01620/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს პროფესიული განვითარების აკადემიურ ცენტრს (ს/კ: 40084902) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ვეტერინარული აფთიაქის/ზოომაღაზიის ვეტერინარი ტექნიკოსი /01620/ **(დანართი).**

5. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ „ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“ /01649/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თეა ნარეკლიშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 15 ივნისის №692515 ბრძანების საფუძველზე, დარგის ექსპერტმა თეა ნარეკლიშვილმა და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2023 წლის 22 ივნისს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“.
ვიზიტი წარიმართა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად. გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. შედგა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
ვიზიტისას წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა დოკუმენტები, ვიზიტი ასევე განხორციელდა პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კომპანია „დიო“-ს საწარმოში, სადაც დეტალურად შეფასდა პრაქტიკის ჩასატარებელი გარემო, ცენტრალურ ოფისში მოეწყო შეხვედრა პრაქტიკის განმახორციელებელ ინსტრუქტორებთან და კომპანიის წარმომადგენლებთან.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა. გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია:
ქვესტანდარტი 1.4 - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში;
გამომდინარე იქიდან, რომ სამშენებლო დარგი გარკვეულწილად სპეციფიკურია და კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი შესაძლოა განხორციელდეს სიმაღლეზე ან ერგონომიულად მოუხერხებელ პირობებში, რაც მომუშავე პირის უსაფრთხოების რისკის დონეს ზრდის, სასურველია დაშვების წინაპირობად მოთხოვნილი იყოს ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რათა კურსდამთავრებულისათვის დასაქმების შესაძლებლობა არ გახდეს შეცდომაში შემყვანი.
დარგის ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სსიპ კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მიერ წარმოდგენილი პროგრამის „ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟის“ პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ კომპანიას წარმოადგენს საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი კომპანია „დიო“, რომლის მიზანია ქართულ ბაზარზე შემოტანილი პროდუქციის და საწარმოში დამზადებული ნაკეთობის უმაღლესი სტანდარტების დანერგვა, თავისთავად, სსიპ კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მიზანიც შესაბამისად ქვეყანაში სამშენებლო მიმართულების განვითარებაში ხელშეწყობა და სამშენებლო სექტორის უშუალო საჭიროებების გათვალისწინებით კვალიფიციური კადრების მომზადებაა. პროგრამა „ალუმინისა და მეტალოპლასტმასის

კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟის“ განხორციელების იდეაც სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „მშენებლობის წარმოება“ საფუძველზე შემუშავდა, რომლის შინაარსი, მიზანი და სწავლის შედეგები ეფუძნება აღნიშნულ ჩარჩო დოკუმენტში შემავალ რამდენიმე მოდულის კონკრეტულ სწავლის შედეგებს, პროგრამის შინაარსი ასევე ეფუძნება კომპანია ,,დიოს'' საქმიანობის გამოცდილებას და სპეციფიკას.

2019 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, მშენებლობის სექტორში სამუშაო ძალის უნარების უკეთ გაცნობის და მშენებლობის სექტორში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევის ჩატარების მიზნით, მოაწყო კომპანიათა წარმომადგენლებისგან შემდგარ ფოკუსჯგუფთან შეხვედრა, სადაც წამყვანი სამშენებლო კომპანიების, კოლეჯებისა და ასოციაციის ადამიანური რესურსების მენეჯერები და ხელმძღვანელი პირები მონაწილეობდნენ. ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს მოთხოვნად სპეციალობებზე და აღმოჩნდა, რომ სამშენებლო კომპანიებისათვის ერთ-ერთი მოთხოვნადი პროფესიული ჯგუფია მემონტაჟეები. ასევე აღსანიშნავია, რომ დასაქმების სააგენტოს მიერ დარგობრივი სამინისტროებისა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისგან გამოთხოვილი „მოთხოვნადი პროფესიებისა და პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ“ ინფორმაციის თანახმად, მშენებლობა 2020-2021 წლების პრიორიტეტულ და მოთხოვნად პროფესიებს შორის მოხვდა.

ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის ყოველწლიური კვლევების, შესაბამისად მიმდინარე და სამომავლო პროექტების მასშტაბურობიდან გამომდინარე, სამშენებლო სექტორს ესაჭიროება მოკლე ვადებში მომზადებული კადრები, მათ შორის ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მემონტაჟე, რომელთა ცოდნაც დადასტურებული იქნება სახელმწიფოს მიერ აღიარებული დოკუმენტით.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული კომპანია „დიო“-ს საჭიროებებიდან, დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით და პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებით ვლინდება მაღალკვალიფიციური კადრის საჭიროება, აქვე აღსანიშნავია, რომ კომპანია „დიო“ მზარდი და განვითარებაზე ორიენტირებული კომპანიაა, რომელიც მუდმივად საჭიროებს კვალიფიციური კადრების დამატებას და მათ მომზადება-გადამზადებას.

2023 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, კოლეჯს აქვს მიზანი, მოიპოვოს პროფესიული მომზადების პროგრამის, „ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“ განხორციელების უფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ პროფესიული მომზადების პროგრამა „ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“ უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის / პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.

1.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდება „ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“ გამომდინარეობს სწავლის შედეგებიდან და პროგრამის თემატიკიდან. პროგრამის სწავლის შედეგები არ არის დამაბნეველი და შეცდომაში შემყვანი.

აღნიშნული პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, კერძოდ პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს ესოდენ საჭირო და დეფიციტური პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომელსაც მოკლე დროში მისცემს იმ ცოდნას და პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მას რეალურად გამოადგება ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟისათვის. შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი შეძლებს ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების კონსტრუქციის ტიპების და მონტაჟისთვის გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების, ასევე სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების წესების აღწერა - დახასიათებას, მონტაჟისთვის საჭირო ნახაზის/სქემის წაკითხვას,

უსაფრთხოების წესების დაცვით ალუმინისა და მეტალო პლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟს; შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას, ხარვეზების გამოსწორებას, წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციას.
რაც შეეხება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ასაკი - 18 წელი, განათლება: საბაზო. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება.
პროფესიული მომზადების პროგრამით „ალუმინისა და მეტალო პლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“ გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება, თუმცა, ძირითადი აქცენტი პრაქტიკულ სწავლებაზეა გაკეთებული. სწავლება კომპანია „დიო“-ში და სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“-ს კეთილმოწყობილ გარემოში ჩატარდება და ითვალისწინებს 10 კვირიან სწავლებას, ყოველკვირეულად 12 სთ, გარდა მე-5 კვირისა, როცა საათობრივი დატვირთვა 15 სთ-ია, შესაბამისად ჯამში პროგრამა 123 სთ-ს შეადგენს. პროგრამის აღწერაში მითითებულია, რომ პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა, შეიძინოს პრაქტიკული უნარები და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით. პროგრამის შინაარსიდან და მიზნიდან გამომდინარე, პროგრამაზე სრულწლოვან პირთა დაშვების წინაპირობა მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია, ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ მსურველ აპლიკანტთა გასაუბრებისას პრიორიტეტულია პროფესიის დაუფლების მსურველის მოტივაცია (ინტერესი პროფესიისადმი), ხედვა გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებით, მზაობა ფიზიკური შრომისათვის და სტრესულ გარემოში მუშაობის შესაძლებლობა, ასევე მნიშვნელოვანია პროფესიასთან დაკავშირებული სხვა მონათესავე სპეციალობის ცოდნა ან გამოცდილება.
ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია მისაღწევი სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.
თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სამშენებლო დარგი გარკვეულწილად სპეციფიკურია და კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი შესაძლოა განხორციელდეს სიმაღლეზე ან ერგონომიულად მოუხერხებელ პირობებში, რაც მომუშავე პირის უსაფრთხოების რისკის დონეს ზრდის, ამიტომ სასურველია დაშვების წინაპირობად მოთხოვნილი იყოს ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რათა კურსდამთავრებულისათვის დასაქმების შესაძლებლობა არ გახდეს შეცდომაში შემყვანი. ცნობა ჯანმრთელობის მოთხოვნის შესახებ შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შრომის უსაფრთხოებასთან მიმართებაშიც.
პროგრამა „ალუმინისა და მეტალო პლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“ მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონეს. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 10 (ათი) კვირას. კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა 12-15 საათია, სულ საათების რაოდენობა -123. აღნიშნული პროგრამა განხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებულ A და C გარემოში. ასევე სასწავლო სახელოსნოში - C გარემოში. მე-6 კვირიდან მე-9 კვირის ჩათვლით მეცადინეობები პრაქტიკული ხასიათისაა და განხორციელდება შ.პ.ს. „დიო“-ს საწარმოს C გარემოში. მე-10 კვირას წარიმართება როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებულ A და C გარემოში, ასევე უშუალოდ პრაქტიკის ობიექტზე, შ.პ.ს. „დიო“-ს საწარმოს C გარემოში.
პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელების სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.

სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამაში - „ალუმინისა და მეტალო პლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“ პროგრამის განმახორციელებელი პირი თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას იყენებს შემდეგი სწავლის მეთოდებს: ინტერაქციული ლექცია, დემონსტრირება, დისკუსია, პრაქტიკული სავარჯიშო, დემონსტრირება, პრაქტიკული სავარჯიშო, პრაქტიკული მეცადინეობა, ინსტრუქტაჟი.

პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მათ შორის, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული მომზადების პროგრამა „ალუმინისა და მეტალო პლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“ სასწავლო პროცესი პირველი ხუთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობს სასწავლო დაწესებულების ბაზაზე შესაბამისად აღჭურვილ A და C გარემოში. აღნიშნულ გარემოში შესაძლებელია ჩატარდეს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტის ნაწილი. კოლეჯში თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის დადასტურების შემდეგ მსმენელები მე-6 კვირიდან გადიან შ.პ.ს. “დიო“-ს საწარმოო ობიექტზე სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას, სადაც შესაძლოა ანაზღაურებადი საწარმოო პრაქტიკაც განხორციელდეს.

სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ 2023 წლის 5 მაისს, 3 წლის ვადით, კომპანია „დიო“-სთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელოშეკრულება №596. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული ხელშეკრულება, რომლის თანახმად, შპს “დიო“ უზრუნველყოფს მსმენელების საწარმოო პრაქტიკას შემდგომი დასაქმებით.

მსმენელის შეფასების სისტემასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამაში აღწერის ნაწილში გაწერილია, თუ როგორ ხდება სწავლის შედეგების შეფასება, მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება, ტესტები, ზეპირი გამოკითხვა, პრაქტიკული დავალებები, ქეისების (შემთხვევის) ანალიზი, მსმენელების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვება. მიმდინარე (განმავითარებელი შეფასება) პრაქტიკულად ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება, განმსაზღვრელი შეფასება (საბოლოო გამოცდა) ჩატარდება სწავლის ბოლოს, რომლის დროსაც შეფასდება მსმენელების თეორიულ ცოდნა და პრაქტიკული უნარები. დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება „პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელთა შეფასებისა და შეფასების უწყისის დამტკიცების თაობაზე“ (ბრძ. №120, 25/12/2019) და თანდართული ფორმები - მსმენელთა შეფასების უწყისი და მსმენელთა შეფასების ფორმა. შესაბამისად, მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროგრამის 5 განმახორციელებელი პირით, მათ შორის კომპანია ,,დიოს'' წარმომადგენლებით. პროფესიული მომზადების პროგრამაში - „ალუმინისა და მეტალო პლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“, ჩართულია როგორც კოლეჯის წარმომადგენელი, ასევე საწარმოს კვალიფიციური სპეციალისტი, რომლებიც განახორციელებენ პროგრამით განსაზღვრულ სწავლებას. განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლების, კვალიფიკაციისა და მიზნობრივი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით. ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს გაცნობიერებული აქვთ საკუთარი როლი პროგრამის

განხორციელების პროცესში. განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის მოქმედების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის მაისი.
დარგის ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის მატერიალურ და სასწავლო რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულების მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, სათანადოდ პასუხობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს და შეესაბამება დაგეგმილ მსმენელთა რაოდენობას. პროფესიული მომზადების პროგრამა „ალუმინისა და მეტალო პლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“, უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებაში მსმენელებისთვის გამოყოფილია A და C გარემო. სასწავლო აუდიტორია, სადაც ისინი პრაქტიკის ობიექტზე გასვლამდე გაივლიან თეორიულ კომპონენტს (A გარემო), მიუხედავად მოთხოვნილი 10 მსმენელისა, განთავსებულია 15 მსმენელისთვის საჭირო ინვენტარი, დაწესებულებას აგრეთვე აქვს C გარემო, რომელშიც განთავსებულია ის ძირითადი აღჭურვილობა და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რაც სავსებით აკმაყოფილებს პროგრამის განხორციელებას. პროგრამის ფარგლებში მსმენელები აგრეთვე გაივლიან სასწავლო კურსს უმაღლესი დონით აღჭურვილ საწარმოს C გარემოში, სადაც ასევე შესაძლებელია ერთდროულად 15 მსმენელის მიღება.
განაცხადის მიხედვით პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მსმენელთა რაოდენობა არის 10, დაწესებულება გეგმავს 10 მსმენელის მიღებას ერთდროულად.
დაწესებულებაში არის ყველა პირობა მსმენელების სწავლებისათვის. კოლეჯის აუდიტორიები და ტერიტორია აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტებით, რაც პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისათვის ქმნის კომფორტულ გარემოს.
შესაბამისად, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიული მომზადების პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსით.
დაწესებულებამ განაცხადთან ერთად წარმოადგინა 2015 წლის 20 ოქტომბრის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი №2, ლ.სამხარაულის დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, 2020 წლის 18 დეკემბერს ბრძანება №185-ით დამტკიცებული „პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა“, რომელთა საფუძველზეც დადგინდა, რომ კოლეჯის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს, შენობა კონსტრუქციულად მდგრადია და სრულად შეესაბამება უსაფრთხოების მოთხოვნებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სხვა ქვესტანდარტები და აღნიშნა, რომ დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში. დაწესებულება აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან. პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია დოკუმენტში „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვის წესი და პირობები“, კერძოდ პროფესიული მომზადების/პროფესიული

გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, აპლიკანტთა შერჩევის პირობები, საკონკურსო კომისია, აპლიკანტთა უფლებამოვალეობები და კოლეჯის ვალდებულებები, მსმენელის სტატუსის მოპოვება/შეწყვეტა.

დაწესებულებას აქვს ვებგვერდი http://profgldani.ge/, სადაც განთავსებულია ინფორმაცია, კერძოდ მისია, მიზანი, ამოცანები, პროფესიული პროგრამები და სხვა სასარგებლო ინფორმაცია. შესაბამისად, იურიდიული პირი უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას.

დაწესებულების ვებგვერდისა და სოციალური ქსელის შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას.

დაწესებულებამ ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ წარმოადგინა თანდართულ დოკუმენტში „განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები'', რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის მიერ. დოკუმენტში გაწერილია, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედებს ,,დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე - განავითარე" ციკლი. დოკუმენტში გაწერილია განსახორციელებელი სამუშაოები, განხორციელების პერიოდი, ვერიფიკაციის პროცედურა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ონლაინ კითხვარები, კერძოდ პროგრამის მსმენელის კითხვარი და პროგრამის განმახორციელებელი პირის კითხვარი. კითხვარები არის მრავალკომპონენტიანი, ხდება როგორც სასწავლო პროცესის, რესურსების და ასევე სასწავლო გარემოს შეფასება. კოლეჯი, ასევე ახორციელებს დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუირებას. წარმოდგენილ იქნა შევსებული კითხვარები და შესაბამისი ანალიზის დოკუმენტები. მიმდინარე პროგრამებში ანალიზის შედეგად გასაუმჯობესებელი მხარეები არ გამოვლენილა. ამდენად, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს. დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები, შესაბამისად დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში https://e-vet.emis.ge/ ასახვას, შესაბამისი ვადების დაცვით. თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას

დაწესებულება არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას. დაწესებულებაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში Eflow.

გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს

დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით (ბრძ. №119, 25/12/2019) დამტკიცებული აქვს „პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატის, სერტიფიკატის დუბლიკატისა და სერტიფიკატის დანართის ფორმის გაცემის წესი", სადაც გაწერილია თუ როგორ ხდება დაწესებულებაში სერტიფიკატის აღრიცხვის ფორმების წარმოების ორგანიზება და გამოყენება, სერტიფიკატის ფორმების შენახვა, შევსება და გაცემა, სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემა, სერტიფიკატის ფორმის, გაცემული სერტიფიკატისა და დუბლიკატის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, სერტიფიკატის დანართის გაცემა, გამოსაყენებლად უვარგისი სერტიფიკატების ჩამოწერა.

კოლეჯმა წარმოადგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი კორესპონდენცია სერტიფიკატის ენობრივ სისწორესთან დაკავშირებით. სერტიფიკატები მომზადების პროცესშია და დაწესებულების მიერ ჯერ არ არის გაცემული სერტიფიკატი.
დარგის ექსპერტმა ასევე ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის პროფესიული მომზადების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა კვირეებში - 10, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10.
პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი მომზადება-გადამზადების პროგრამას ახორციელებდა კოლეჯი ამ ეტაპზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული საქმიანობისთვის და პროფესიონალიზმისთვის. მისი თქმით, კოლეჯი ვერ შეძლებდა აღნიშნული პროგრამის სრულყოფას, რომ არა კომპანია „დიოს“ აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში და მხარდაჭერაში, აღნიშნულმა კომპანიამ დაწესებულებას გადასცა არაჩვეულებრივი აღჭურვილობა სასწავლო გარემოს შექმნისთვის. კოლეჯში გამოყოფილი იყო კომპიუტერული სივრცე და 2 ოთახი სწავლებისთვის. დაწესებულებამ მანამდე მსგავსი პროგრამა დაგეგმა, მაგალითად დიაგნოსტიკის , ამწის ოპერირების და საწყობის სატვირთოების პროგრამები, რომლებსაც კოლეჯი ახორციელებდა კომპანია ნოვაში, ეს იყო გადამზადების პროგრამა და კოლეჯს ჰქონდა მათი განხორციელების პრაქტიკა, როგორც თბილისის ლოკაციებზე, ასევე ბათუმის ლოკაციებზეც, მათ შორის კოვიდ პანდემიის პერიოდში ონლაინ რეჟიმში, ამის გარდა დაწესებულებას ჰქონდა სოციალური მედიის პროგრამა და რამდენიმე პროგრამა საფინანსო სერვისების მიმართულებითაც, რომელიც ხორციელდებოდა კოლეჯის ფარგლებში. კოლეჯი ყოველთვის ცდილობდა დაენერგა მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები, რომელიც იქნებოდა ბაზარზე მოთხოვნადი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ „ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“ /01649/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ -

კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ (ს/კ: 200279448) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი /01649/ **(დაწართი).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 15:58 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01545	მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced)	პროფესიული მომზადება	მესამე	9 (1) 6(2)	ქართული	42	ქ. თბილისი, გ. ფანჯიკიძის ქ. №3

- (1) აღნიშნავს პროგრამას, რომელიც ხორციელდება პირისპირ სწავლების ფორმით

- (2) აღნიშნავს პროგრამას, რომელიც ხორციელდება დისტანციური სწავლების ფორმით

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01518	თეატრალური კოსტუმის მკერავი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	36	ქართული	10	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 19

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01517	თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	36	ქართული	10	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 19

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
011620	ვეტერინარული აფთიაქის/ზოომაღაზიის ვეტერინარი ტექნიკოსი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	16	ქართული	50	ქ. თბილისი, კედიას ქ. №10

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01649	ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი	პროფესიული მომზადება	მესამე	10	ქართული	10	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44